

# კულტურის პროექტების სოციალური გავლენის შესაძლებლობები

გაბუნია მარიანა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კულტურის მენეჯმენტის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა

„სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევები და კულტურის მენეჯმენტი“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო სანადირაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიანა გაბუნია,

21.06.2016

## აბსტრაქტი

ნაშრომი მოიცავს კვლევის ანგარიშს, კულტურის სფეროს პროექტების სოციალური გავლენის შესაძლებლობების შესახებ.

კვლევის მიზანია კულტურის სფეროში მომუშავე ექსპერტების მოსაზრებების შესწავლა - რა განსხვავებული გავლენები აქვთ კულტურის სფეროს პროექტებს, რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ მათ კულტურისა და ხელოვნების როლი სოციალური პრობლემების წარმოჩენის პროცესში. ასევე, მნიშვნელოვანი საკვლევი საკითხია თუ როგორ ზემოქმედებს კულტურა და ხელოვნება პროექტის მონაწილეთა ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე.

კვლევაში გამოყენებული იყო თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდი.

თვისებრივი კვლევა: პირისპირ ინტერვიუს გზით გამოიკითხა კულტურის სფეროში მომუშავე 3 ექსპერტი. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა, მკვლევარის მიერ მომზადებული, კითხვარის ფორმა (იხ. დანართი 1,2).

რაოდენობრივი კვლევა: რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, გამოიკითხა 200 ინტერნეტ მომხმარებელი, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ კულტურის სფეროს პროექტებში.

მიღებული შედეგები არ არის გათვლილი განზოგადდეს გენერალურ ერთობლიობაზე.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** კულტურის სფეროს პროექტები; სოციალური გავლენა, სოციალური პრობლემები

## **Abstract**

This paper is the report of the research about impact possibilities of cultural projects.

The aim of the research is to study the experts' opinions – what impact does cultural projects have, whether they consider the role of art and culture important in the process of social problem promotion or not. Also, important part of the research is to answer the question: What kind of impact does cultural and art projects have on different aspects of participants' life.

This work includes as qualitative as quantitative research methodology.

Qualitative Research: inquire three experts of the field of culture. Template inquire form was used as the research tool. (See appendix 1, 2)

Quantitative Research: 200 internet users who have participated in cultural project were interviewed with the online research form.

The results are not meant to be generalized.

**Key words:** cultural projects, social impact, social Problems